ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2607398

ნომერი: AR1402836

თარიღი : 10.05.2016

გაცემის თარიღი : 20.05.2016

გაცნობის თარიღი : 24.05.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ატენის ქუჩის შესახვევი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1285252
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 23.05.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი (კომერციული, საოფისე და საცხოვრებელი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი ბარნაბიშვილი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ბარნაბიშვილი გურგენიძე არქიტექტორები"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206334705

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "რედ-კო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404943709
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მირიან ქათამაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 41001006005

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2400.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1270.9
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 20478.0
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 10531.2
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1189.6
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 507.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 2967.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 2743.2
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 701.6
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1838.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 28190.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 20500.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 7690.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 63.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 57.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.3
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1108,2=0,46
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 15677,2=6,53
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 238,4=0,1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1814754
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 23.04.2015

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1814754
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.04.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 13.05.2016წ. №38/121927 წერილით (სამსახურში რეგისტრაციის №07/4581-13 16.05.2016წ.) არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით. აქედან გამომდინარე და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2. დამატებით ატვირთეთ მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო- გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების და შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი ან უარყოფითი საბოლოო დასკვნა. ასევე მიუთითეთ ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ან წარმოადგინეთ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

3. ამონაწერში მშენებარე ობიექტის ცალკეულ ერთეულებზე დაფიქსირებული ვალდებულებიდან გამომდინარე, საჭიროა წარმოადგინოთ იმ პირთა თანხმობები, რომელთა უფლების საგანიც იცვლება კორექტირებით და დეტალურად განმარტოთ აღნიშნულის შესახებ.

4. ველში –> არსებობის შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი: ატვირთეთ კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის სრულად გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

5. ველში –> დამკვეთის ინფორმაცია -> ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში): მიუთითეთ სამეწარმეო და საჯარო რეესტრის ამონაწერებში დაფიქსირებულის შესაბამისად – შპს "Real Estate Development Company".

6. ველში –> კორექტრებული პროექტს განმარტებითი ბარათი -> განმარტებითი ბარათი: დეტალურად განმარტეთ რამ გამოიწვია საერთო ფართობის შეთანხმებულ პროექტთან მიმართებაში შემცირება.

7. ველში –> ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით) -> კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): მაჩვენებელი მიუთითეთ მეათედის სიზუსტით.

8. ველში –> შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100 -> გეგმების pdf ფაილი: ატვირთული სართულის თითოეული გეგმა დუბლირებულია, ატვირთეთ თითოეული სართულისთვის თითო გეგმა. ასევე, საჭიროა მიჯნის ზონაში დაიტანოთ ღიობებიდან საკადასტრომდე მინიმუმალური დაშორების მანძილები.

9. ღია სადგომზე დაიტანეთ თითოეული სადგომის გაბარიტული ზომები, გაითვალისწინეთ სავალი ნაწილის პარალელურად განთავსებული სადგომის სიგრძე არ უნდა იყოს 6მ.-ზე ნაკლები.

10. ველში –> კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები -> ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით): ატვირთეთ ფოტომონტაჟიც.

11. ველში –> კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი -> მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი: კალენდარული გრაფიკი წარმოადგინეთ დარჩენილ სამუშაოებზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.